

4
1966



ნახ. მ. ახმედოვი

— მიდი, უვილო! დროა, მიუღოსო ხალხს ახალი წელი!
 — რას ამბობ. ჯაბუა! მოსაკლავი თავი მაქვს?!


№ 24 (1250) თბილისი, დეკემბერი 1966

სიკნუი

ნანა აბესაძის რეკლამა



ნაპირის დაავადებების
დაავადების
დაავადების



ახალი წელი ახალ სანდო.

ს. ა. ლომიძე



— ყველა თბილისელი ტანსაცმელი და მისი რაღაცა დაკარგა, ღმერთო!
— მის ტანსაცმელზე ბიჭებს, იმ ათი წელი თურქი არ მისი და რაღაცა დაკარგა ღმერთო!

ნაწესის სახე

მედიცინა

მედიცინა საჭიროებდა წელი—დროსაგან სიანი, ლენინის ორდენიანი, მთა რუსთაველიანი, გამარჯვებული შირაშვილი, შიანი, დოვლიანი... სულა არ უფიქრა სივლიან წაქა ტრიალი.

მედიცინის მუშაობის სახე

მალდობა გვეთქმის, მეტროთი რომ შევუბნოთ ღმერთი მკურნალის, ესკალატორით რომ შევხვდით დიდი რუსთაველის ქუჩა.

მოსვლას; მალად ვიღობ კავადებში, შრომობდეთ უფრო მეტ დროსა, თქვენ იცით, რამდენი მეტროთი გასრული თბილისის მეტროსა!

ქიმიური მარკანის სახე

შეად სავსე მენს მტერს ჰქონდეს! მენს იყო რეკონსტრუქციონად, დიდი ვიღობ მომილოცავს, მენს რომ ასე განკარგავს, გამარჯობს ჰიპოთეზულ მადარბოთელ წყება გმობს, სულ მიღწევა! ჩამორჩენს აწი რაღაცა მე ქვე გინდა?!

სამედიცინო მუშაობის სახე № 1 სახე

მედიცინა წელსა სახელო დიდი ვიღობ დავიწეს, კიდევ ბევრი წარმატება მიეტანოს ახალ წელსა,

მენს შესაქმნე სადღეგრძელოს დღეს მე თხის აწილი მექცავს, არეინ უთხრას მენს ნახევლებს: „წუ, კაპუდი გავიქრება!“

მედიცინის მუშაობის სახე

აწუბო გავი-ცა-მარადღა; შრეგვა გმობდობს მეტროსმა, დიდის მუშობა დედათ, დიდი სახსლევ ურთის, გაქო, ვით გაქო, რა გაქო! მერგად არ მალ-მიც ურთის, ეს ერთი ვიღობ ალალ მენს კიდევ ათასი ბევრი სსეა!

მედიცინის მუშაობის სახე

ნიკოლოზი და მკობლა—ქართულითა დიდი „შანგე...“ მიიღეს შთას ბრეშია—სეღის-სეღ საგომანები, მათა მჭერეღობა მოეგვა ქალკი, გზო-ბანგე, გამარადღეს მათი ღმერთი და მათი ნათარგმანები!

მედიცინის მუშაობის სახე

მო, დავსდეთ და ის შევქოთ, ვინ გრძნობითა ცვა იცის, ვინ შევარეღობს ფორმულითა ვარს, აღმოჩენეს მეებს; მიღმეც, ვის მორჩილობს რჩეული აწი, ვის სიბურის არ აქეს მიმი, სწენთა მუქლთა დრეგადობა დიდ ნიკოლოზ მუსხელიძეა!

მედიცინის მუშაობის სახე

მომწრება ბევრი ტრეუფის, შექმნის, ბევრი ტანის, ჰერია მეტროეღობა შრომის, წელს და გარეთსა, ანათებს ბერი მანდა თავენი თეთრი ტანისრედა და ლოდებს ვინ ბუმბერაზ იანვე ბერიტაველას.

მედიცინის მუშაობის სახე

მთა სახელი ირავლი! იცის დიდი მისია, მარტოველი აზვი თუ ვინმეზია—მისია! კავთინდალა შოთას, სტეპრეზი მეტროსია, უმეს ღმერთი და სიტყვა—ნადლი და არა ნისია.

მედიცინის მუშაობის სახე

ვის ჰქვნიის ზემოთობა? ნინაზე უფთ—არევისა, ქალები დასარისისა, დაშაშთა, დარისისა; მამაკაცებსც უფთ, ზოგს კაცასინ არ მისცა, მას ტანსა კაბა აგვია მუშობი ბერებისა შარდისა!

მედიცინის მუშაობის სახე

სწენი ბრება ბანისტო... ის ბრეშია და ბარისი! ოცვია უფრო დიდი, დრამაზემა ჯადო იცის; ეურის წება არ მისცა აღტყვების დიდარისი; მუღამ ასე დატყვობდა მეტროდებს დავრა მისი!

მედიცინის მუშაობის სახე

ნახეს მთა მისკოველითა; დვა კვარცხლბეზე დიდებულად და მსოფლიო უფრება უკვადების ტონელ სურათს... გავსანარ მენსებრმა შრმა—ქაში გარდებულმა, დავდობის საჭიროელი, მოვალეობით, მტრის, მურნად!

მედიცინის მუშაობის სახე

ვალდობა ვაშაშაშა, ლია თბილისი, მანდა ასკანაშვილისა და კამესანარა მამაკაცისა! ამ ათი წლისაგან გილოცვით—ტელევიზიის დღობას! დიქტორთა თვალად სიტრეფე გვემეტი, მართ ვითა მსგობს, ენა, გინება, დიქტა!—ამდენი ქება გვეოვია!.. სეზირად სათქმელ ტელევიზიის გემობდობა მოცვლობა!

მედიცინის მუშაობის სახე

ცხრაშეტი—ბიშევეცისა, დათრეშელის—ოცია; უთხალ! ილას ერთითა უფროსი მეტროეღობა. დამდგარან დინამოვლი და ერთადერთ შრონს ჰკოცნან, ვერ გეუგათ, შედღებო სეცედან რად არ მოცევა.

მედიცინის მუშაობის სახე

გასრულდა სამოედვეცისა, ვინა ვინა დამისა... საქარობე კამოცისა—განდებ ვინა გამისდა; ვიქცია ღირბული ქვეშე, ვინა ვინა მამისა! ვერ ვინმე ბათუ მელდა ვინა ვინა დამისა.



— რას მიშვებდით, ხალხო?! არა ვარ თოვლის ბავშვი!

სახალხო-კინო

რედაქციაში

მიკროფონთან არის შექმნილი კინო... პასუხი: მე ამ რესტორანში თქვენთან ვარ... რედაქციაში

პასუხი: როგორ და... მავალით, სხვა მხარე... პასუხი: რა გვითხვით თქვენი მუშაობის შესახებ?

მედიანობის მალაზიაში

მიკროფონთან არის მათხოის დი... რედაქციაში

პასუხი: როგორ გეკადრებათ! პირიქით, ჩვენ, რაც... პასუხი: სულ მალე ტრავმატოლოგიის განყოფილება...

პასუხი: გე მე უკვე დიდი ხანია ვიცი და ერთბაშად... პასუხი: როგორ გეკადრებათ! პირიქით, ჩვენ, რაც...

ტრავმატოლოგიის

მიკროფონთან არის კონსულტორი... პასუხი: როგორ გეკადრებათ! პირიქით, ჩვენ, რაც... პასუხი: გე მე უკვე დიდი ხანია ვიცი და ერთბაშად...

ნოდარ ხუნდაძის

წვივა - წვივა

კონსულტაცია

თბილისის „დინამოს“ მომავალი საფეხბურთო სეზონისთვის...

სთვის ესაჭიროება „ჩისტოშვიცი“. „თმლანის“ რაიონული განყოფილებები აწყობენ...

ციებს თემებზე: „ქურდს რა უნდა? — ბნელი დამე“, „რადია იგი სინათლე, რასაც ახლავს ბნელია“, „ქრთამი ჭოჯოხეთს ანათებს“.

შესვლა და გამოსვლა თავისუფალია.

სახალხო თეატრებს ესაჭიროებათ შტატიანი მაცურებლები. პირობები: შესვლა — თავისუფალი, გამოსვლა — ნაცნობობით.

თეატრი ხაზებით ქუჩების აკრედიტაციას დაეწეობით. თბილისის ავტონომიური აკრედიტაციის კონკურსის მხარველობით...

კავშირ-სასაუზმეებს ესაჭიროებათ მომხმარებლები. „ქმევა“ — უფასო.

განხორციელებას ესაჭიროება დღის დარაჯები, რადგან ახლა ვატრონომებში ქურდობა ხდება დღისით, ღამით, თვალსა და ხელს შუა.

ნიანგის მომსახურების განხორციელება

(ნაღირების ვადები და წესები 1967 წლისათვის)

სულიერობას, გამაღვივებლობას, მკურნალობას, და საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საშიშ სხვა დანაშაულებრივ ბრძოლის აქტიურობის მიზნით ნიანგა დააწესა მათზე ნაღირების ახალი ვადები და წესები.

1. ნაღირობა ნაღვივებზე დადართულია მხოლოდ შაბათობისა და კვირის, დანარჩენ დღეებში კატეგორიულად აკრძალულია, რადგან ეს მხოლოდ დროს მოკვდა და მტკი არაფერი.

ნაღირობა მომხრეობა, მამალ (ბოროტი), ვაჟი (წერილობით) მუდმივად ან ალგაზრდებზე ნებადართულია ყოველდღიური, ყოველ საათს, მათ შორის ნაღირდებულნი (დღისიერება განხორციელებული მხრეებზე), სულიერად ფიციანდობაზე, რომელიც იყენებენ ცივი აკრებს, ცხელ იარაღს, სხეულის დასაზიანებლად სპეციალურად მომარაგებულ სხვა საგნებს.

ნაღირობა ნებადართულია ბოროტი სულიერობის ჩამდენ ისეთ მაჩვენებლებზე, რომლებსაც უკვე შეუსრულდა თითხმები წელი. ასეთ პირთა ჩამოღობა, ცხვირითა და წინააღმდეგობით სანადირო ადგილებია ქუჩა, სასოლი, ეზო, კინოდარბაზი, სადაც გადის ფოლკლორული ზეპირსიტყვიერი ხელოვნების მემკვიდრეები და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილები...

ასეთ მომხრეობა მუდმივად აკრძალულია. ნაღირების ვადები და წესები 1967 წლისათვის. ნიანგის რწმუნებულნი.

ნ. კახი, ნიანგის რწმუნებული.

შინ რა თქვა სახალხო

ამდღა ვუთხარ თქვა: მე რაღა მომვლავს, თუ რუსთაველი უკვდავია.

ღმინო თქვა: ახალ წელს სველიაფერი ახალი სკოის, ღმინო კი ძველი.

ღმინო თქვა: დამკალით, მაგრამ თავს ნუ მოშვებთ.

ამდღა თქვა: ისეთი ძუნწი პატრონი მყავს, მე მგინი, მომავალ წელსაც ჩანთიელი შეგვადგინო.

შამანურმა თქვა: თუ გინდათ ერთი ბოთლი შემწავით, ორი ბოთლი გამსვენით.

გონიანმა თქვა: ახალი წლის აუცილებელი საგნები ვარ, ჩემი ჭამა კი აუცილებელი არ არის.

განდარინმა თქვა: საერთოდ ცვიტუკანინი ვარ, მალაზიაში კი მარადწავნე.

ღმინოსმა თქვა: ჩემს სადღერძელს პირველად იმიტომ სვამენ, რომ მეორე მალე გამოვიტანო.

ამდღა თქვა: ღმინომაც არ იცის, ახალი წელი სად გამოიტანება.

მშრალმა თქვა: ახალი სიტყვა ძველ წელს მაქვს ნათქვამი. ისტორიკოსი ღმინო ჩამოშრალა და თქვა: ჩემი ღმინო რწმინთი, ახალი წელი ძველადაც უნდა ყოფილიყო.

ჩემმა სახალხო სუფრას ბაღმსხად და თქვა: ჩირადაც აღარ ვღირვარო.

ზ. გურული



ნახ. ნ. მალაზიაში

— შას რატომ უწევს, ამხანაგო?! — მინაგამ ასეთი საქონლის ასე იცავდ გაყიდვი!

გაუბრებანი

ახალი წლის წინა დღეები იყო. სოფრმა, რომელსაც უდებდ...

- ნაძის ხე არ გინდა? — ჩასწორებულ უკნობა. — გელოვო! — მოკლე მოუჭრა სოფრმა. — უკვე შეიძინე? — არ მოუჭრა გაჭრუანა. — არა, მე საერთოდ ნაძის ხე არ მჭირდება. — კარგი ხუმრობა გყვინდა! — სცადა გაღივება მენაძემ. აბა, შენს საყვარელ ბავშვებს უნაძისხეოდ რომ არ დატოვებ? რა უფასო აქვს საბავშვო ხეებს, თუ ნარჩენად მორთული ნაძის ხე არ გეყვან? შენ ისეთი დამიანი არ ჩანხარ, რომ პატარებს გსოდენ დიდი სისხარული და სიამოვნება მოაქვს. — მე ბავშვები არა მყავს. — მით უმეტეს, — სახე გაუბრწყინდა გაჭრუანას, — შენ-

თვის ნამდვილად საჭიროა ნაძის ხე. ეტყობა, ამ სასუფარეო დღე-სასწაულს მუდამდებთან ერთად ხელები და, წამოიღებინე, როგორ გაუჭრუვდება იმდენ, თუნდაც პრილატით მოთვებული კონტა ბეჭედი ახუტო, თუ არ დაუგვამ სანთლებით აბღღერალებულ ნაძის ხეს. ხომ იცი, კალის გულს ამგავი. — მე ცოლიანი არ გახლავარო! — მამ, ალბათ... — არაფერი ალბათ! მე არც საცოლე მყავს და არც მეფობარი. სულ მარტოდავარ ვცხოვრობ, — მიუყო სოფრმა და წასვლა დააპირა, მაგრამ გაჭრუანა წინ გადაუდგა: — თუ მართლა მარტოხელა ბრძანდებით, მაშინ, რაღა თქმა უნდა, აუცილებელი საჭიროება წამოაღვივებს შენთვის ნაძის ხე, მარტობა რომ არ იგრძნო! ამას საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნები!

შოთა ამირანაშვილი.

ახალი წლის-ახალი კინო...

ამ სახალხოლოდ, ოჯახით, ნისლსა, ქარსა და წვივაში, სიღერით, ცოლით, შვილებით შევიდა ახალ ბინაში. მეგონა, დაპირებანი შესრულებული ღქნება, დღე სამსახურში ვერ ვძლებდი, დამით დამტანჯეს ფიქრებმა.

შოდა, ოჯახურ თათბირზე გადაწყდა: გვეყოს ლოდინი, ახალ წელს ახალ ბინაში გავშალოთ სუფრა, ლოკინიც. შესვლისას პერი დავლოცეთ, დავცადოთ სადღერძელო და...

მე, რა ვიცოდით, ბრძენებმა, თუ რა შვიი დღე გველოდა: მოგვიახლოვდა, მოვიდა ნანატრი წელი ახალი, ვერ შევიყვანეთ ოჯახში, ესმოდა აუალოყალი: „სად ვადმედიდით, რა გქენით? უიმე, ღმერთო მომკალი! გაში არ არის ჩართული, უწყლოდ იხრჩობა ოქანა“. ცოლს დემეტრა სიღერი, მომდგა ვით და ვიშოთა: „სიძის ტენის გაჩი ვაყარე, პირი ავესო ქვიშოთა!“. დავრჩეთ-თქო, გავიძახეთ, ის კი დარჩენას გვიშლიდა. წამოვდგა, წამოიფოფრა, კედელს ავგვარ ვიშოთა. სიღერის მცირე პაუზა ცოლმა შევისო ვაყანო: „როდის იქნება ვაბობა? ძველები დამემტკვრა კანკალით!“. ახალი წელი კარბთან ქაქანით ისე გაბრუნდა, ვერ შევიყვანეთ ოჯახში, ადგა და უკან დაბრუნდა!

აჭარის პოეტიკოსი



— გახსნიეთ, უფროსო! საყვობიდან გამოვიდა ლაქის 12 საათზე, ამგონს, თოვლის ბავშვი ვართ.

იგავნი

ერთხელ სეჟმა გადაწყვიტეს, ოჯახით ახალი წელი. თამადაც უნდოდათ აგრინით ქაშუგი ნაძვი. მაგრამ, სწორედ ახალი წლის წინა დღეს, მოვიდა ორი კაცი ერთი ხერხით და მოხერხეს ნაძვი. სეჟმა იძულებული გახდნენ, თამადაც მუხა აგრინით. იბიბეს ახალი წელი. მრავალი ლიტვა წყალი შეისრეფეს აუწყებო. სიბთვარისგან სასეჟმა წამოტეხნენ... მრავალი სადღერძელო თქვეს სეჟმა. შოლთს კი აუხერხე ადგილი შესვეს ყვლა უღრთოდ დაღუბული ნაძვის შესანდობარი.

შოთა ჩანტაძე



ავსუსტი არ არის, ეს მიწაში იყო და მენ მიწის ზეპირით!

გინდა ლაიჯარეთ, გინდა — კარგი

„მიცი, ამ ამბავს არ დამიჯერებთ. ასეთი ბედი მაქვს. არა და, რასაც ქვემოთ გიამბობთ, ნამდვილად მოხდა.“

ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა დაიჯეროთ? დეღუღინი რომ წყნარი ოკეანედან ჟან გაბენს პარიზში ტელეფონით ელაპარაკება, ტვისტს რომ ცეკვავს და ექვს კაცს არჩენს ზვიგენის ხახისგან, — გჯერათ. დაღესტნის ერთ აულში სამას ოცდაშვიდი წლის რამდენ-ზადე მამამისს ყოველდღე პინგ-პონგს რომ ეთამაშება, წინაში არ მოვიმატო, — გჯერათ. ჰოდა, აბა ესეც დაიჯერეთ.

...გაიოზი, ჩემი ძმაკაცი, ხედ იქცა. დიახ, დიახ, — ხედ! და იცით მერე რომელ ხედ? ნაძვისხედ, სახალწლო ნაძვისხედ.

აი, როგორ მოხდა ყველაფერი:
31 დეკემბერს სამსახურიდან დაბრუნდა გაიოზი. კარგ ხასიათზე იყო და უნდოდა, ცოლ-შვილიც აეყოლებინა. ცოტადენი ხორავი ადრე ჰქონდა მომარაგებული სახლში, ახლაც მოიტანა ნამცხვარი, ტკბილეული და ნაირნაირი ხილი. ერთი სიტყვით, რაც შეეძლო, თავი არ დაუზოგავს.

გაიოზის ცოლს — თამილას დიდი სითბო და კმაყოფილება არ გამოუხატავს არც ქმრისა და არც მისი ძღვენის მიმართ. შვილებიც არ გადარეულან სიხარულით. ეტყობა, ოჯახში ეგონათ, ახალი წელი აგვაშენებსო.

გაიოზი ხომ გულკეთილი კაცი და ოჯახისმოყვარული. შეეცადა, ხასიათზე მოეყვანა ოჯახის წევრები.

— ასე, ჩემო თამილა! ხომ გავიგონია, ყველი და პური, კეთილი გული. გავითვინო ბედნიერი ახალი წელი, ვიჭუჭუკოთ შვილებში!..

— ხო, მეტი საქმე არა მაქვს, მთელი დამე გეჭუჭუკოები. ვის რად უნდა შენი კეთილი გული?! შენსავით ხვდებოდა ახალ წელს საშას ოჯახი: ჩააცვა ცოლს ნაირ-ნაირები და მოსკოვში რესტორან „მეტროპოლიში“ არიან ალბათ ახლა გამოქიმილები. მე კი უნდა ვიყურებოთ ამ სამოთახიან სოროში და ვუყურო ჩემს დებილ შვილებს.

„დებილი შვილები“ კი თვალბდაჭყეტლები და ყურბდაჭყეტლები ჩამოძვდარიყვნენ „დივან-ტანტზე“ და მშობლების ტკბილი საუბრიდან ერთ სიტყვასაც არ ტოვებდნენ დაუმუშავებულს.

გაიოზი გულკეთილი იყო და ოჯახისმოყვარული. კიდევ ერთხელ შეეცადა, ხასიათზე მოეყვანა თამილა:

— გენაცვალე! ტყუილად ბრაზობ, მშვენიერი ოჯახი გვაქვს და სხვისი შესაშური არაფერი გვჭირს... არაფერი გვაკლია!

— საქმელიც გვაქვს და სასმელიც, ტიტველი არ დავდივართ! — გააგრძელა თამილამ. — ასე იტყვი ახლა. აღარ შემიძლია, გაილია ჩემი ახალგაზრდობა, როდისღა მოვხვდები ადამიანურ ცხოვრებას. აგერ, ჩვენი ლამარა ამერიკაში დაქრიალებს, მე კი ვაჭა-ფშაველას პრისაქტს ვერ გავცდი.

— ამერიკაში კი არა, აგერა პოლონეთში... — არ ვიცი მე! საზღვარგარეთი ჩემთვის ამერიკაა.

გაიოზი გულკეთილი კაცი იყო და ოჯახისმოყვარული. კიდევ ერთხელ შეეცადა, აზრი შეეცვლევინებინა თამილასათვის:

— კი მაგრამ, ხომ ნახე, ლუიზას ქმარი მასეთმა ცხოვრებამ ციხის კარამდე რომ მიიყვანა?!

— ის ლუიზას ქმარი მიიყვანა, თვითონ ლუიზა ღმერთითვითა. რა ვიცი, მას არაფერი დატყობია და... ჩაგმა-დახურვა მქონდეს და რაღად მინდა... ჰმ! — ჩახველა თამილამ. — ასეა, ბატონო! შენ კიდევ უნაყოფო ხესავით ხარ!

გაიოზი გულკეთილი კაცი იყო და ოჯახისთვის თავდადებული. ჩაფიქრდა გაიოზი, ჩაფიქრდა და... ნელ-ნელა, ცოლ-შვილის თვალწინ, გადაიქცა... ხედ — ნამდვილ მწვანე ნაძვისხედ. ნაძვისხე კიდევ არაფერი, მაგრამ რა ძვირფასეულობა არ გამოუსხა გაიოზა-ნაძვისხეს — ეს ნორკის შუბო, ეს ტრიკოტინის პალტო. ეს ფრანგული ფხესაქმელები და სუნამოებით, ეს შალის საკაბეები და ნიღონის პერანგებით, ეს კურტკებით, ეს საგზურებით, ერთი სიტყვით, რა გინდა სულო და გულო!

ცოლი და შვილები ჯერ გაოგნებულები უყურებდნენ გაიოზის ხედ ქცევას. კვილიც კი დააპირეს, მაგრამ როცა დაინახეს, რა ძვირფასეულობა გამოება კაცს, გაშტერდნენ. ცოტა ხნის შემდეგ გონზე მოვიდნენ, ხელით შეხებენ ნივთებს და როცა დარწმუნდნენ, ნამდვილი იყო, ერთხმად აყაყანდნენ:

— უი, შენ კი გენაცვალე! ამ შუბაზე ვოცნებობდი... — აუ, რა კურტკაა!..

— გლეჯვის ტუფლებია!

— დეედა, რა პერლონია!

გაიოზი გულკეთილი კაცი იყო და ოჯახისმოყვარული. ცოლ-შვილმა რომ გაიხარა, თვითონაც დიდად ისიამოვნა, ყველაფერს გრძობდა, მხოლოდ ლაპარაკი არ შეეძლო. დაესივნენ კაცს-ხეს, ჩამოგლიჯეს ყველაფერი, ვის რა ეკუთვნოდა თუ არ ეკუთვნოდა. ნაძვისხეზე ერთი გაიოზის სარგო კოსტუმიც ეკიდა, უფროსი ბიჭი იმას რომ წაებოტინა ჩამოსახსნელად, გაიოზმა იფიქრა, ვეტყვი, ეს მაინც დამიტოვოსო, მაგრამ, აბა, როგორ ეტყობა? ხეს ლაპარაკი ხომ არ შეუძლია!

ამ სინჯავა-ზომებაში რომ იყვნენ, მე შევადე მეგობრის სახლის კარი, ახალწლი. მოსალოცად მივედი. ვის ეცალა ჩემთვის.

— სად არის ოჯახის უფროსი-მეთქი, — ვიკითხე.

— აგერაა, ბატონო, — მიმითითა თამილამ და თან სარკეში იზომებდა შუბას.

— სად?! — ვერ მოვკარი თვალი გაიოზს.

— აი, ხეს ვერ ხედავ?

გამიკვირდა.

— მამაშვიციერს ვენაცვალე, იმდენი ვესვფე, რომ ამისრულა ნატვრა. ისევ მე, თორემ გაიოზი რის გამიკეთებელია, — ტრამბახობდა აღტაცებული თამილა.

— კი მაგრამ, რა ვქნათ ახლა? — ვიკითხე მე.

— რა უნდა ვქნათ, გადავადგებთ, რაღად გვინდა. — მიპასუხეს ოჯახის წევრებმა.

ავტირდი: ნუ იზამთ, იქნებ, ისევ კაცად იქცეს ჩემი მეგობარი, დავაცადოთ-მეთქი.

თამილას ჭკუაში დაუჯდა ჩემი რჩევა.

— დავაცადოთ, იქნებ მომავალ ახალ წელს ისევ მოგვართვას საჩუქრებით.

აიღეს გაიოზა-ნაძვისხე და ბუხარში შეიღეს ყოველი შემთხვევისთვის.

გაიოზა გულკეთილი კაცი იყო და ოჯახისმოყვარული. ყველაფერს გრძობდა. მაგრამ ვერ ლაპარაკობდა, ხეს ხომ არ შეუძლია ლაპარაკი.

ბუხარში აყუდებულ გაიოზა-ნაძვისხეს შიშით ღამეები არ სძინავს — ცენტრალური გათბობა რომ მოიშალოს და ბუხრის დანთება გადაწყვიტონ, მერე რა-ღა მემშველებათ, ფიქრობს საცოდავი.


ასე იყო ეს ამბავი. თქვენ გინდა დამიჯერეთ და გინდა — არა!

გურამ გომარათელი



ვიეტნამური სახალწლო ნაძვის ხე.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი შტრაუსი დაბეჯითებით მოითხოვს „ვეროპის ატომური ძალების“ შექმნას.



შტრაუსის ვალსი.



— ეს ხელოვნური ნაძვის ხეა. მე ცოცხალი მივლა!
— ცოცხალი და შეამია ამ არ იმიღება!

ძუნწი კაცი იყო დიდი ფული

ძუნწი კაცი იყო დიდი ფული კვინდა არ ხარჯავდა, არ ხარჯავდა და ფულს მობეზრდა უქმად ყოფნა, აღჯა და ის ძუნწი კაცი თვითონ დახარჯა.

ჯერ მისი პატროსნება დახარჯა. ამ დანახარჯით კარგად იქნოდა მსხვილ ფულთან ერთად. ნასუფრალით ხერდა ფულიც მოიმადლოდა.

შემდეგ მისი ვაჟაკობაც დახარჯა. მისი ნიჭი ჟარს გაატანა. სიყვარული კი ბანქონში წააგო. ბოლოს ფულს ძუნწი კაციდან თრად ორი კაცი შეჩრა. ტელეფონ-ავტომატით დარეკა მეგობარ ფულთან, მაგრამ ტელეფონ-ავტომატმა ის ძუნწი კაცი ჩაყლაბა.

ფულს იმედოდ ლატარის ერთადერთი ბილეთი-და დარჩნოდა — იქნებ, მედზე რამდენიმე ასეთივე კაცი მოეყო.

არლომ ახვლედიანი

ეკონომიკური გეგმის მიხედვით



ახალი წელი გემზე

ნიანგის ფოსტა

„ნიანგის“ 1965 წლის მეოცე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში — „არიკა, უშველეთ!“ როგორც შემდეგ გამოირკვა, დაშვებული იყო უსუსტობანი.

როგორც თბილისის საქალაქო საბჭოს საბინაო სამმართველოს მთავარი ინჟინერი ამხ. ბედელაძე გვატყობინებს „საქალაქო საბჭოს აღმასკომის საექსპერტო ჯგუფმა 1965 წ. 16 ნოემბერს ადგილზე შეამოწმა მოქ. შ. კ. სამადა-შვილის (მცხოვრები ნინოშვილის ქ. № 13-ში) განცხადება და დაადგინა, რომ ოქტომბრის რაისაბჭოს აღმასკომის საუწყებოთათმორისთ კომისიის 1961 წლის 7 თებერვლის ოქმი № 3 გადაწყვეტილების შესაბამისად, ნება მიეცათ ნინოშვილის ქ. № 13 სახლის მცხოვრებლებს — არსენოვს, ტერასოვს, სამადაშვილსა და კვეციას (მცხ. ნინოშვილის ქ. № 13-ში) მიეშენებინათ შემიხული აივანი, ღია აივანი და სამზარეულო წარმოდგენილი პროექტის მიხედვით.

პროექტი არ იყო განხილული საქალაქო საბჭოს არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების მიერ, ფაქტურად მშენებლობა ჩატარებულია პროექტის დარღვევით, მიმდინარეობდა ოთახი, შუშაბანდის ნაწილი გამოყოფილია ოთახად, გარდა ამისა, პროექტში გათვალისწინებულია მოქ. სამადაშვილის შუშაბანდის გვერდზე არსებული დაშენებული სათავსოს გადახურვა თუნუქით, რაც ფაქტურად განხორციელებულია და მოქ. სამადაშვილი მითხოვს, რომ ეს თუნუქით მოწყობილი სახურავი მოიხსნას, ღინაიდან ის გამოიწვიოს მისი ბინისა და შუშაბანდის სათავსოს გადახურვას ან გაცივებას ზაფხულის ან ზამთრის პერიოდში.

საექსპერტო კომისიას საჭიროდ მიანია აღნიშნული თუნუქის სახურავი მოიხსნას და რკინა-ბეტონის გადახურვაზე მოეწყოს ბრტყელი სახურავი სათანადო ქანობით“.



— რაღა ამ ტყვეთ აშენებ სხლს?
— ნაძვის ხის მოჭრა აკრძალვს და ასე ვამჯობინებთ

ვერ ვესროლე კველ ფალიძადს

ახალ წელსა დროზე შევხვდი, წამიც არ დავახანე, მაგრამ წესი დავარღვიე, თოფი დაბლა დავხარე, — რუსთველის წელს ვერ ვესროლე, ტყვია ვერ დავახალე!

ნოდარ შამანაძე

ასე ტკბილად დაიბეჯადით!

მელიცივის მუშაებას

თვალში ჩინი, მკლავში ძალა ნურასოდეს შემოგაკლდეთ. ცდისთვის რამე თუ დაგჭირდეთ, მზად ვარ, ხელში შემოგაკვდეთ. თქვენ რომ წყლული ამომკვეთეთ, ჩავისუნთქე მთელი მკერდით. ყრუ ტკივილებს მაინცა ვგრძნობ, — ასე ტკბილად დამიბერდით!

სატელეფონო საღპურს

რა შეგცოდეთ ამის ფასი, ეს რა ყოფა დამაწიეთ, — ტელეფონი დამიდგით და მთელი ხალხი დამასიეთ. ღამე მაინც ნუ დამტანჯავთ, ნუ გამწირავთ სულ მთლად ბედით, წკრრრ! — ავდგები, ტუუუუ! — დავწვები. ასე ტკბილად დამიბერდით!

ქუჩის ვაი-რაინდებს

ვწყავილი თქვენი შეყრის საათს, სახლში აღარ შემახედეთ, რას მერჩოდით, ახალ წელს რომ სასწრაფოში შემახვედრეთ? ეს წუთია გონს მოვედი, დასტაქარი მიდგას გვერდით, გატეხილ თავს მირემონტებს, ასე ტკბილად დამიბერდით!

პრიგოლ ჩიპვილაძე


მთავარი რედაქტორი ნოდარ ლუმაბაძე.

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, გ. ნიშნაძე (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, ო. კელიძე.

თბილისი. სატირისა და იუმორის ყურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал «Нiangи». რედაქციის მისამართი რუსთაველის პრ. № 42. ტელ. რედაქტორის 9-76-89. საერთო განყოფილების — 8-10-78. საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ხელმოწ. დასაბ. 15/XII-1966 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8 0,5 ნახ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმითა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმით რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კვ ცვ გამომცემლობის სტანბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 4205 უფ 03397 ტირაჟი 55000

23
12/1 7



ნახ. ვ. ლოლუასი

— ვინ არის ეს კაცი, შე გათახსირებულო?!